საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/15019
22/09/2022

15019-2-03-2-202209221543

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს
ბატონ **ჯაბა ფუტკარაძეს**

ბატონო **ჯაბა,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2022 წლის 29 აგვისტოს №01-01-10/3874 წერილი, რომელიც შეეხება შპს „ბაკარა პლუს“-ის განცხადებას ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში, კოწია ერისთავის N14-ში მდებარე 1133.90 კვ.მ. შენობა-ნაგებობ(ებ)ისა და მათზე დამაგრებული 16136 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.35.28.140) ნაწილის, კერძოდ **10855 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) განკარგვის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული **10 855 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი - ფოთი (ასაქცევი) - სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის **ბათუმი - სარფის** მონაკვეთის პროექტის განთვისების ზოლის (ბუფერის) მიღმა. შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული **10 855 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი SHP ფაილის მიხედვით) განკარგვა.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ ,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge